

ინტერნეტ-გვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების საერთო დებულებების” 7.12 პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათავაზობთ “პოს ტერმინალით მომსახურების საერთო დებულებებში” (შემდგომში “ხელშეკრულება”) შემდეგი ცვლილება-დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულება შეიცვალოს სრულად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ
ხელშეკრულების ძირითადი პირობები
(შემდგომში „ხელშეკრულების ძირითადი პირობები“)**

- 1.1 კომპანია უზრუნველყოფს სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ 204854595, შემდგომში „ბანკი“ / „თიბისი ბანკი“) პოს ტერმინალის (როგორც საგადამხდელო საშუალების, შემდგომში „ტერმინალი“ / „პოს ტერმინალი“) გამოყენებით, VISA, Master Card / Maestro და China Union Pay საერთაშორისო ბარათებით კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის / გაყიდული საქონლის ღირებულების უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიღებას (გადახდების მიღებას).
- 1.2 ხელშეკრულების პირობები დამატებით რეგულირდება „პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებით“ (შემდგომში „საერთო დებულებები“, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას) და ხელშეკრულების ძირითადი პირობების და/ან საერთო დებულებების და/ან კომპანიის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი განაცხადის (რომლითაც ის უერთდება ამ ხელშეკრულებას - ხელშეკრულების ძირითადი პირობებს და საერთო დებულებებს (შემდგომში „განაცხადი“)) შესაბამისი დანართებით (თანდართული ხსენებულ დოკუმენტებზე და/ან მხარეთა შორის მომავალში გაფორმებული/შეთანხმებული, რომლებიც წარმოადგენენ ამ დოკუმენტის არსებით შემადგენელ ნაწილს).
- 1.3 ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულებაში და/ან ნებისმიერ დანართში და/ან ნებისმიერ განაცხადით განსაზღვრულ პირობებში ცვლილებები/დამატებები შეიტანოს, ცვლილების/დამატებების განხორციელებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ვებგვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals> შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ პუნქტში აღწერილ შემთხვევაში, კომპანიას უფლება ექნება ბანკის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან ან ბანკის შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეასრულოს ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებები / გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი და შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება (წერილობით ან ი-მეილით (ი-მეილი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე - smepayments@tcbank.com.ge) მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტა). ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კომპანიის მიერ მიღებულად, პირობები კი შეცვლილად შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ბანკს უფლება აქვს პირობების ცვლილება/დამატება, რომელიც არ აუარესებს კომპანიის მდგომარეობას, ძალაში შეიყვანოს ვებგვერდზე მისი განთავსებისთანავე.
- 1.3.1 ბანკის მიერ დაწესებული ტარიფების/გადასახდელების ცვლილების შემთხვევაში, კომპანიის ინფორმირება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე.
- 1.4 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულებით და/ან ნებისმიერი განაცხადით და/ან ნებისმიერი დანართით განსაზღვრული ნებისმიერი პირობის ცვლილება/დამატებას, ბანკი განახორციელებს კომპანიის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კომპანიას ცვლილების შესახებ.
- 1.5 მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო

მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა):

- 1.5.1 მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან (ბ) კომპანიის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ/ხელმოწერილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება კომპანიისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;
- 1.5.2 თუ, მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. კომპანია აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 1.5.1 ქვეპუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება;
- 1.5.3 შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;
- 1.5.4 შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.
- 1.6 ხელშეკრულების ყველა დანართი და/ან შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.7 იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 1.8 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის ¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
- 1.9 ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.
- 1.10 ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ

ხელშეკრულების საერთო დებულებები

(შემდგომში „საერთო დებულებები“)

1. საერთო დებულებებში / განაცხადში მოცემულ ტერმინთა განმარტება

1.1. საერთო დებულებებში / განაცხადში მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდელი სისტემის Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის წესებს.

1.1.1. საერთო დებულებებში მოცემულ ტერმინთა განმარტება:

ბარათი - Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay-ის საერთაშორისო საგადახდო ბარათები.

საპროცესინგო ცენტრი - სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“, რომელიც უზრუნველყოფს პოს ტერმინალის მომსახურებას, საბარათო ოპერაციების ავტორიზაციას და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას.

ავტორიზაცია - გარიგების მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა, რომლის დროსაც მოწმდება ბარათის ვალიდურობა (ძალაში ყოფნის ფაქტის დადასტურება), ბარათზე გარიგების შესაბამისი თანხის არსებობა და ხდება ამ თანხის ბლოკირება.

ავტორიზაციის კოდი - გარიგების (ავტორიზაციაზე თანხმობის) დამადასტურებელი ექვსნიშნა რიცხვი;

გარიგების უარყოფის კოდი - სხვადასხვა მიზეზით არშემდგარი გარიგების (ავტორიზაციაზე უარის) კოდი.

ტრანზაქცია - ავტორიზაციისა და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა.

პოს ტერმინალი - ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგების თანხისა და ბარათზე არსებული ინფორმაციის გადაცემა საპროცესინგო ცენტრთან ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად.

მობილური ტერმინალი - პოს ტერმინალის ერთ-ერთი ფორმა ე.წ. „რიდერი“ რომელიც უზრუნველყოფს გადახდის მიღებას მობილური ტელეფონში ჩატვირთული აპლიკაციის მეშვეობით.

სავაჭრო ქვითარი / ავტომატური სავაჭრო ქვითარი - ბარათით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ბეჭდავს პოს ტერმინალი ორ იდენტურ ასლად და რომელიც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.1 პუნქტში აღწერილი წესების სრული დაცვით.

ბაჩი - 24 საათის განმავლობაში შესრულებულ გარიგებათა ჯამური თანხა, რომელსაც პოს ტერმინალი აგზავნის საპროცესინგო ცენტრში.

ჩარჯბეკი - VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის წესების შესაბამისად, ბარათის ემიტენტის ან მფლობელის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების და ექვაიერისგან (ტრანზაქციის შემსრულებელი ბანკისაგან) ტრანზაქციის თანხის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების მოთხოვნის პროცედურა.

ჩარჯბეკის დოკუმენტი - VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის წესებით დადგენილი ჩარჯბეკის პროცესისათვის დამხმარე საბუთი ან ინფორმაცია (როგორცაა სავაჭრო ქვითარი, კლიენტის მონაცემები, ტრანზაქციის დამატებითი აღწერა, კომპანიის ინვოისი/ანგარიში, ნებისმიერი დოკუმენტის ჩანაწერი, კომპანიის წერილი და ა.შ.)

ფილიალი - იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

საბანკო დღე / სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

1.1.2. განაცხადში მოცემულ ტერმინთა განმარტება:

შევსებადი საკომისიო - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

შევსებადი საკომისიო ერთეულ ტერმინალზე - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის

მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

შევსებადი საკომისიო ერთეულ ფილიალზე - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის თითოეული ფილიალის ტერმინალების წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ფილიალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

ფიქსირებული საკომისიო - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: განაცხადის შესაბამის გრაფაში მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კომპანია გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ და დაემატება განაცხადით გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ფიქსირებული საკომისიო ერთეულ ტერმინალზე - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: განაცხადის შესაბამის გრაფაში მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კომპანია გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ თითოეულ ტერმინალზე და დაემატება განაცხადით გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ფიქსირებული საკომისიო ერთეულ ფილიალზე - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: განაცხადის შესაბამის გრაფაში მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კომპანია გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ თითოეულ ფილიალზე და დაემატება განაცხადით გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიწერება ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ჯამური საკომისიო - თანხის მოცულობა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი აღმოჩნდება ჯამური საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას.

ექსკლუზიური პირობა - ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, კომპანიის ვალდებულება Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay ბარათებისთვის ექსკლუზიურად ისარგებლოს მხოლოდ თიბისი ბანკის პოს ტერმინალის მომსახურებით, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას წარმოეშვება ბანკის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, იმ თვის წინა კალენდარული თვის განმავლობაში პოს ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების თანხების ჯამის სამმაგი ოდენობით (მინიმუმ 5000 (ხუთი ათასი) ლარი), როდესაც განხორციელდა ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა.

ავანსად აღებული საკომისიო - საკომისიოს ოდენობა, რომელსაც ბანკი წინასწარ ჩამოიწერს კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ერთეულ ტერმინალზე.

სალარო ტერმინალი - პოს ტერმინალი, რომელსაც დამატებული აქვს სალარო აპარატის ფუნქცია, რაც გულისხმობს ნაღდი ანგარიშსწორების დროს სალაროს ჩეკის ამობეჭდვის შესაძლებლობას და იმავე ფუნქციების განხორციელებას, რაც გააჩნია სალარო აპარატს.

DCC - Dynamic currency conversion - თანხის გადახდის დროს პოს ტერმინალზე ვალუტის ცვლილებისთვის განკუთვნილი ფუნქციონალი. კლიენტს უცხოური ბანკების მიერ ემისირებული ბარათ(ებ)ით პოს ტერმინალით ტრანზაქციის განხორციელებისას, აქვს საშუალება DCC-თვის დასაშვები ვალუტებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი უცხოური ვალუტა, ტრანზაქცია განხორციელდეს შესაბამისი უცხოური ვალუტის ეკვივალენტი თანხით და ტრანზაქციის წარმატებით დასრულების შემდეგ მიიღოს ქვითარი, რომელზეც აღბეჭდილი იქნება ვალუტებს შორის კონვერტირების კურსი და თანხა ორივე ვალუტაში. ასეთი ტრანზაქციისას, ვალუტათა შორის კონვერტაცია განხორციელდება სს „თიბისი ბანკის“ ვებგვერდზე - <https://www.tcbank.ge/web/ka> განთავსებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ბანკის უფლებები და მოვალეობები

2.1.1 ბანკი კისრულობს ვალდებულებას:

- 2.1.1.1 საპროცესინგო ცენტრის მეშვეობით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს ბარათების ავტორიზაცია;
 - 2.1.1.2 უზრუნველყოს პოს ტერმინალით Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay ბარათებით განხორციელებულ გარიგებებზე ანგარიშსწორება, კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა (ხელშეკრულების ძირითადი პირობებით და/ან საერთო დებულებებით) და განაცხადით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და ბაჩის წარდგენის შემდეგ, თიბისი ბანკის კლიენტების შემთხვევაში - 3 (სამი), ხოლო სხვა ნებისმიერი კომერციული ბანკის კლიენტების შემთხვევაში - 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში;
 - 2.1.1.3 გადასცეს კომპანიას ვადიან სარგებლობაში პლასტიკური ბარათების მომსახურებისთვის აუცილებელი მოწყობილობა - პოს ტერმინალი (ერთი ერთეულის ღირებულებით - 500 (ხუთასი) აშშ დოლარი);
 - 2.1.1.4 უფასოდ გაუწიოს ტერმინალებს ტექნიკური ზედამხედველობა;
 - 2.1.1.5 წერილობით ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ფორმით შეატყობინოს კომპანიას არსებითი საოპერაციო ცვლილებების შესახებ ცვლილებებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა;
 - 2.1.1.6 დაიცვას კომპანიის ტრანზაქციების (ოპერაციების) კონფიდენციალობა;
 - 2.1.1.7 კომპანიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, კომპანიის პერსონალს (დასაქმებულებს), რომლებიც უშუალოდ მოემსახურებიან ბარათის მფლობელებს, ასწავლოს ბარათების მომსახურების წესები და ჩაუტაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი (სწავლება) ან ბანკის დავალების საფუძველზე სწავლების ინსტრუქტაჟი (სწავლება) ჩაატაროს საპროცესინგო ცენტრმა.
- #### 2.1.2 ბანკი უფლებამოსილია:
- 2.1.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისას კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი თანხა/ები გადაურიცხოს საკომისიო(ებ)ს გამოკლებით;
 - 2.1.2.2 არ მოახდინოს ანგარიშსწორება ამ დოკუმენტის 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული წესების დარღვევით შედგენილი ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრების მიხედვით და ამავდროულად ბანკი არ არის ვალდებული 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული წესების დარღვევით შევსებულ გარიგების ქვითარში მითითებულ თანხ(ებ)ის ჩარიცხვაზე;
 - 2.1.2.3 დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი ჩარჯბეკის, ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით გააჩეროს და დაარეზერვოს (კომპანიის ანგარიშზე შესაბამისი მოცულობის (ოდენობის) თანხის VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის რეგულაციის წესებით განსაზღვრული ვადით ბლოკირება) კომპანიისთვის ჩასარიცხი თანხა;
 - 2.1.2.4 თუ რეზერვის თანხა არ ფარავს კომპანიის დავალიანებას ბანკის მიმართ, ბანკი უფლებამოსილია კომპანიის ნებისმიერი ანგარიშიდან ჩამოწეროს თანხა (ხელმისაწვდომი თანხ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში), რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას. განსხვავებულ ვალუტაში თანხების ჩამოწერის შემთხვევაში ეკვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კომერციული კურსით;
 - 2.1.2.5 პოს ტერმინალით განხორციელებულ ტრანზაქციებზე არ მოახდინოს ანგარიშსწორება გარიგებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ მიღებული ბაჩის საფუძველზე;
 - 2.1.2.6 უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) ჩამოწეროს კომპანიის ანგარიშ(ებ)ზე შეცდომით ჩარიცხული თანხები;
 - 2.1.2.7 პერიოდულად შეამოწმოს კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით (საერთო დებულებებით) გათვალისწინებული საოპერაციო წესების დაცვა;
 - 2.1.2.8 არ მოახდინოს კომპანიასთან ანგარიშსწორება, კომპანიის მფლობელობაში არსებული პოს ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების საეჭვობის და/ან უკანონობის შემთხვევაში;
 - 2.1.2.9 ჩარჯბეკის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩარჯბეკის პროცესის დამთავრებამდე მოახდინოს შესაბამისი თანხების ბლოკირება, რაც შეესაბამება VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის რეგულაციის წესებს;
 - 2.1.2.10 მოითხოვოს კომპანიის და გარიგებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია / დოკუმენტაცია, როგორც ჩარჯბეკის შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საეჭვო და/ან უკანონო გარიგებისას;
 - 2.1.2.11 იმ შემთხვევაში თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბეკების თანხა მიაღწევს გარიგებების საერთო თანხის 3%-ს ან მკვეთრად გაიზარდება ტრანზაქციების რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე), დროებით შეაჩეროს კომპანიასთან ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება;
 - 2.1.2.12 ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში, ტრანზაქციის თანხის ბანკის ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 (სამი) დღის ვადაში განიხილოს შესაბამისი ინფორმაცია და/ან დოკუმენტები და მიიღოს

გადაწყვეტილება ბარათის მფლობელის ანგარიშზე თანხის დაბრუნება/არდაბრუნების შესახებ;

- 2.1.2.13 კანონითა და წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებების შეუზღუდავად, საერთო დებულებების შესაბამისი პუნქტებით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს საერთო დებულებების შესაბამისი პუნქტებით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოები (პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ბანკის ვალდებულებას). ასეთი ვალდებულებების წარმოშობის შემთხვევაში და მისი წარმოშობის შემდგომ, ბანკი უფლებამოსილია შესაბამის თანხ(ებ)ი უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) ჩამოწეროს კომპანიის ნებისმიერი ანგარიშიდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას;
- 2.1.2.14 დაუყონებლივ შეაჩეროს კომპანიის მომსახურება და/ან კომპანიასთან ანგარიშსწორება, რაიმე მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის ანგარიშსწორების სისტემების რეპუტაციას;
- 2.1.2.15 კომპანიის სასარგებლოდ პოს ტერმინალების მიწოდება, უკან წამოღება, მონტაჟი, დემონტაჟი და მათი სრული მომსახურება უზრუნველყოს სს „საბანკო სისტემების სერვისების კომპანიის,, თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილი არიან ხელი მოაწერონ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებს;
- 2.1.2.16 განაცხადში ავანსად აღებული საკომისიოს ველში მითითებული საკომისიოს ოდენობა ჩამოჭრას (ჩამოწეროს) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ხელშეკრულების/განაცხადის გაფორმებისთანავე. თუ ტერმინალ(ებ)ის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი გადააჭარბებს ავანსად აღებული საკომისიოს ოდენობას, ავანსად აღებული საკომისიო სრულად დაუბრუნდება კომპანიას ანგარიშზე, ხოლო თუ საკომისიოს ოდენობა აღმოჩნდება ავანსად აღებულ საკომისიოს თანხაზე ნაკლები, კომპანიას შესაბამისი საკომისიოები ანგარიშ(ებ)იდან ჩამოეწერება ამავე დებულებით გათვალისწინებული ლოგიკის (წესების) შესაბამისად;
- 2.1.2.17 კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ჩამოწეროს ფიქსირებული საკომისიო კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული თვეების რაოდენობით.

2.2. კომპანიის უფლებები და მოვალეობები

2.2.1 კომპანია კისრულობს ვალდებულებას:

- 2.2.1.1 დაიცვას ტერმინალთა Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay ბარათებით მომსახურების წესები:
- მაგნიტური ზოლით განხორციელებულ ტრანზაქციის ქვითარზე მოაწერინოს კლიენტს ხელი;
 - იმ შემთხვევაში, თუ მაგნიტური ზოლით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა აღემატება 100 (ასი) ლარს დამატებით მოითხოვოს პირადობის მოწმობა და მოწმობის ნომერი დაიტანოს ამობეჭდილ ქვითარზე;
 - შეინახოს კლიენტის მიერ ხელმოწერილი ქვითარი 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში;
 - გადახდა ჩათვალოს წარმატებით დასრულებულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამობეჭდილ ქვითარზე წერია - „დადასტურებულია“, პასუხის კოდი - 000.
- 2.2.1.2 Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay-ის ბარათების მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული წესების მკაცრი დაცვით;
- 2.2.1.3 უზრუნველყოს საპროცესინგო ცენტრში ბაჩის გაგზავნის პროცედურა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესების მიხედვით;
- 2.2.1.4 თიბისი ბანკში განახორციელოს კლიენტად რეგისტრაცია / ანგარიშ(ებ)ის გახსნა (თუკი უკვე არ არის რეგისტრირებული / არ აქვს გახსნილი ანგარიშ(ებ)ი);
- 2.2.1.5 ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში, უზრუნველყოს ბანკის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;
- 2.2.1.6 პოს ტერმინალებთან მუშაობის უფლება (პოს ტერმინალების გამოყენების საშუალება) მისცეს მხოლოდ ბანკის ან საერთო დებულებებით განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ის მიერ კვალიფიცირებულ თანამშრომლებს და წერილობით მოითხოვოს ბანკისგან ან საპროცესინგო ცენტრისგან ახალი პერსონალისათვის (დასაქმებულთათვის) ინსტრუქტაჟის (სწავლების) ჩატარება;
- 2.2.1.7 არ გადასცეს პოს ტერმინალები და არ მისცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირებს;
- 2.2.1.8 ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, კომპანიას ეკრძალება ტერმინალის სხვა ფილიალში და/ან სხვა სავაჭრო წერტილში გადატანა;
- 2.2.1.9 არ გაატაროს კრედიტული ტრანზაქცია შესაბამისი დებეტური ტრანზაქციის გატარების გარეშე;
- 2.2.1.10 არ მიიღოს ბარათი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის გარდა სხვა მიზნებისათვის (მაგალითად არსებული ვალის ინკასირების (ამოღების) ან სხვა მსგავსი შემთხვევების დროს);
- 2.2.1.11 არ მოახდინოს რაიმე დამატებითი საკომისიოს და/ან გადასახადის დამატება ტრანზაქციის (ოპერაციის) თანხაზე;

- 2.2.1.12 განათავსოს პოს ტერმინალ(ებ)ი და სარეკლამო მასალები, მხოლოდ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით;
- 2.2.1.13 შეინახოს სავაჭრო ქვითრები და ბაჩის ქვითრები 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში და გადასცეს ბანკს მისი მოთხოვნისთანავე არაუგვიანეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში;
- 2.2.1.14 დაიცვას საბარათო ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
- 2.2.1.15 არ მოახდინოს ბარათის ნომრის მოთხოვნა ან გამოყენება სხვა მიზნისთვის, გარდა საქონლისა ან მომსახურების ანგარიშსწორებისა;
- 2.2.1.16 აცნობოს ბანკს მის მიერ მესამე პირის (მათ შორის მისი შვილობილი საწარმოს ან მასთან ავილირებული პირის) გამოყენების თაობაზე, რომელსაც წვდომა ექნება ბარათის მონაცემებთან. ხსენებული პირ(ებ)ი აუცილებელი წესით უნდა აკმაყოფილებდნენ Visa Electron / Visa Master Card / Maestro და China Union Pay-ის საგადამხდელო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებს, რის დაუცველობის / დარღვევის შემთხვევაში სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია;
- 2.2.1.17 შესრულოს ქვემოთ მოცემული მოთხოვნები სრულად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ გამოიყენება მესამე პირის საბარათო მონაცემების დამუშავების სერვისი:
- უზრუნველყოს სისტემაში ჩართული მესამე პირის VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის საგადამხდელო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;
 - ადასტურებს, რომ სრულად იცნობს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის საგადამხდელო სისტემების „PCI-DSS“ უსაფრთხოების პროგრამას ბარათების მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და ვალდებულებას იღებს შესრულოს მათთან დაკავშირებული მოთხოვნები.
- 2.2.1.18 ჩარჯბეკის შემთხვევაში, ჩარჯბეკის პროცესის დამთავრებამდე, მოახდინოს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის ან China Union Pay-ის მიერ უკან გათხოვილი თანხის სრული ანაზღაურება;
- 2.2.1.19 ჩარჯბეკის შემთხვევაში მოთხოვნისთანავე გადასცეს ბანკს ჩარჯბეკის დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება გადაიხადოს ჩარჯბეკის თანხა სრული ოდენობით;
- 2.2.1.20 აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც ბანკს შესაძლოა მიადგეს კომპანიის მომსახურე პერსონალის (დასაქმებულების) დაუდევარი ქმედებისა ან/და წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული ბარათის მომსახურების წესების დარღვევის შედეგად;
- 2.2.1.21 პოს ტერმინალის მუშაობაში ხარვეზების წარმოქმნის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს ბანკს ან საპროცესინგო ცენტრს;
- 2.2.1.22 ხელი შეუწყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთას - მაგ. კომპანია წარმოადგენს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელ ჩეკს, რომელიც მიღებულია, მხოლოდ ბარათის მფლობელსა და კომპანიას შორის სავაჭრო გარიგების შედეგად;
- 2.2.1.23 არ მოახდინოს საქონლის და/ან მომსახურების ღირებულებაზე (ოპერაციის თანხაზე) კომპანიის მიერ ბანკის სასარგებლოდ გადასახდელი ნებისმიერი საკომისიოს დამატება. ასეთის განხორციელების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე;
- 2.2.1.24 კომპანიის სავაჭრო ობიექტის (სავაჭრო ფართის) დახურვის ან ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს ბანკის მიერ გადაცემული პოს ტერმინალები კომპანიის სავაჭრო ობიექტის (სავაჭრო ფართის) დახურვიდან ან ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო დასაბრუნებელი პოს ტერმინალების სრული ღირებულების 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 2.2.1.25 პოს ტერმინალის დამატების სურვილის შემთხვევაში, მინიმუმ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობით, კომპანიის ინტერნეტ ბანკით (მისი არსებობის შემთხვევაში) ან ი-მეილით (ი-მეილი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე - smepayments@tcbank.com.ge) აცნობოს ბანკს დამატების მოთხოვნის შესახებ;
- 2.2.1.26 გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, კლიენტს არ განუცხადოს უარი ბარათით ანგარიშსწორებაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობას, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე;
- 2.2.1.27 პოს ტერმინალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული პროფილის შესაბამისად. პროფილის დამატების ან შეცვლის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ;
- 2.2.1.28 გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ვადიან სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა - პოს ტერმინალი;
- 2.2.1.29 არ მოახდინოს ტერმინალის რაიმე ტექნიკური და პროგრამული ცვლილებები;
- 2.2.1.30 ტერმინალის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს საპროცესინგო ცენტრს ნომერზე - 0322777222;
- 2.2.1.31 ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს ბანკს ტერმინალ(ებ)ი და

მიღება-ჩაბარებით განსაზღვრული ტერმინალის აქსესუარები თავდაპირველ მდგომარეობაში ნორმალური (ბუნებრივი) ცვეთის გათვალისწინებით;

- 2.2.1.32 ტერმინალის ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს ბანკს მისი შეკეთების ხარჯები;
- 2.2.1.33 ტერმინალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს ბანკს მისი მიმდინარე (საბაზრო ღირებულება ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით) ღირებულება;
- 2.2.1.34 მიღება-ჩაბარებით განსაზღვრული ტერმინალის აქსესუარების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს ბანკს მათი ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია მიღება-ჩაბარების აქტით;
- 2.2.1.35 შეამოწმოს ჩაბარებული პოს ტერმინალის ჩეკზე დატანილი ინფორმაციის შესაბამისობა განაცხადთან. ტერმინალის ჩაბარებით (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით) კომპანია ეთანხმება, რომ ტერმინალი დაპროგრამებულია შევსებული განაცხადის შესაბამისად;
- 2.2.1.36 ბანკის მიერ განსაზღვრული საკომისიოების დროულად და/ან სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გადახდის თაობაზე ბანკის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ყველა გადასახდელის სრულად გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან მისი დანართებით გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურება (მათ შორის პოს ტერმინალით მომსახურება), ხოლო მომსახურების შეჩერებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეწყვიტოს მომსახურება.
- 2.2.1.37 სალარო ტერმინალის ლუქის დაზიანებისას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი გამოყენება, არ განახორციელოს მისი თვითნებური შეკეთება და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს.
- 2.2.2 კომპანია უფლებამოსილია:
 - 2.2.2.1 მიიღოს დამატებითი კონსულტაცია ბარათებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ;
 - 2.2.2.2 წერილობით მოითხოვოს ბანკს მისი პერსონალის (დასაქმებულების) განმეორებითი ინსტრუქტაჟი (სწავლება).

3. ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრები

- 3.1. მხარეთა შეთანხმებით ავტომატური სავაჭრო ქვითარი ითვლება - „ყალბ სავაჭრო ქვითრად“ და ბანკი არ მოახდენს კომპანიისთვის თანხების გადარიცხვას, თუ:
 - 3.1.1 კომპანიის მიერ საპროცესინგო ცენტრში წარდგენილი სავაჭრო ქვითარი ან მისი ასლი არ შეესაბამება ავტორიზაციის მონაცემებს;
 - 3.1.2 სავაჭრო ქვითარი არ არის შევსებული ამ ხელშეკრულების 2.2.1.1 ქვეპუნქტში მოცემული წესების დაცვით;
 - 3.1.3 სავაჭრო ქვითარში შეტანილია შესწორებები ან დარღვეულია მათი ასლების იდენტურობა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, სრულად და/ან არასათანადოდ შესრულებაზე, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 4.2. კომპანიის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, კომპანია იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს ბანკს როგორც გაუფრთხილებლობით, ასევე განზრახ მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი და/ან არაპირდაპირი სახის ზიანი/ზარალი.
- 4.3. ბანკის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე შეზღუდულია ბანკის მიერ მხოლოდ განზრახ მიყენებული პირდაპირი ზიანით, შესაბამისად კომპანია აცნობიერებს, რომ მას არ ექნება მოთხოვნის ან რაიმე სახის პრეტენზიის წარდგენის უფლება ბანკისთვის ამ უკანასკნელის მიერ კომპანიისთვის გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანთან, აგრეთვე არაპირდაპირი სახის ზიანთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი სახის ზიანზე, როგორცაა რეპუტაციული ზიანი, მიუღებელი სარგებელი და სხვა.
- 4.4. ბანკი პასუხს არ აგებს ანგარიშსწორების შეფერხებაზე იმ შემთხვევაში, თუ შეფერხება გამოწვეულია კომპანიის მიერ არასწორი საბანკო რეკვიზიტების მიწოდებით ან საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებით.
- 4.5. ბანკი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას კლიენტებისთვის ან მესამე პირებისთვის მიყენებულ იმ ზიანზე, რაც გამომდინარეობს კომპანიის მიერ რაიმე გარიგებაში თავისი ვალდებულებების დარღვევით.
- 4.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კომპანიისა და კლიენტს შორის წარმოშობილ იმ უთანხმოებებზე, რომელსაც არა აქვს უშუალო კავშირი წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
- 4.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი სალარო ტერმინალის მეშვეობით ნაღდი ანგარიშსწორების დროს სსიპ

„შემოსავლების სამსახურში“ მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობასა და/ან სიზუსტეზე, მათ შორის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე, რადგან კლიენტის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ მიეწოდება ღია, ბანკის კონტროლისგან დამოუკიდებელი არხით.

5. ფორს-მაჟორი და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- 5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან მხარეები თავისუფლდებიან, თუ ხელშეკრულების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით („ფორს-მაჟორი“).
- 5.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი მხარეების მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე.

6. კონფიდენციალურობა

- 6.1. თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან, ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას მეორე მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე არ გაუმხილოს მესამე პირ(ებ)ს რაიმე ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ხელშეკრულებას და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.
- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად ზიანი მიადგა მეორე მხარეს ან მესამე პირებს, ბრალეული მხარე ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები, მისი შეცვლისა და მოშლის პირობები

- 7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის განაცხადის მიღების ბანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
- 7.2. კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე ბანკისთვის წერილობითი ან ი-მეილით მიწოდებული (ი-მეილი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე - smepayments@tbcbank.com.ge) შეტყობინების საფუძველზე. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ სურვილის დაფიქსირებიდან (შეტყობინებიდან) არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელები.
- 7.3. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, კომპანიისთვის შეწყვეტის შესახებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის სარგებლობაში ტერმინალ(ებ)ით განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობა თვეში იქნება 1000 (ათასი) ლარზე ნაკლები ან კომპანიას არ ექნება გადახდილი განაცხადში მითითებული თვიური საკომისიო, ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე.
- 7.4. მხარეებმა უნდა მოახდინონ საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 7.5. ხელშეკრულება ითვლება საბოლოოდ შეწყვეტილად მხარეთა შორის ყველა სახის (მათ შორის ფინანსური) ვალდებულებების შესრულების და/ან ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოწესრიგების შემდეგ.